თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2021 წლის 14 მაისის დისტანციური სხდომის

ო ქ მ ი N 3

2021 წლის 14 მაისს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დისტანციური სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ელდარ ბუბულაშვილი, მარიამ ჩხარტიშვილი, ეკა კვაჭანტირაძე, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, დოდო ჭუმბურიძე, გიორგი ქავთარაძე, ვაჟა კიკნაძე**; ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, **ვალერიან ვაშაკიძე** (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე). საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ დისტანციური სხდომის მდივნად წარადგინა **მარიამ ჩხარტიშვილის** კანდიდატურა.

ჩატარდა კენჭისყრა.

მომხრე – 12 წინააღმდეგი – 0.

კენჭისყრის შედეგად, ქალბატონ მარიამ ჩხარტიშვილის კანდიდატურა ერთხმად იქნა მიღებული.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსების წესში შესატანი ცვლილებები;
2. მიმდინარე წელს დაგეგმილი სამეცნიერო კონფერენციები;
3. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსების წესში შესატანი ცვლილებები.

ლავრენტი ჯანიაშვილი: დღევანდელ სხდომაზე განვიხილავთ ინსტიტუტის დაფინანსების წესში შესატან ცვლილებებს. საბჭოს წევრებს გასაცნობად და თქვენი

მოსაზრებების წარმოსადგენად წინასწარ ელექტრონულად დაგეგზავნათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის, ქალბატონ ნინო წერეთლის წერილი (დანართი 2), რომელიც „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისათვის 2021 წელს გამოსაყოფი დაფინანსების დარჩენილ ნაწილს ეხება და ასევე, ინსტიტუტის დირექტორის საპასუხო წერილის პროექტი ამ საკითხთან დაკავშირებით (დანართი 1), რასაც უფრო დაწვრილებით ბატონი გიორგი ჭეიშვილი თავად განიხილავს.

გიორგი ჭეიშვილი: გაცნობებთ, რომ მიმდინაწე წელს, ინსტიტუტის ბიუჯეტის სახელფასო ფონდის გარდა, კომუნალური გადასახადების დასაფარად დაგვიმტკიცდა 17 000 ლარი. სამინისტრომ ბიუჯეტის სხვა მუხლებით განსაზღვრული თანხის გადმორიცხვა დააყოვნა. თქვენ გაეცანით ქ-ნ ნინო წერეთლის წერილს, საიდანაც ცალსახად ირკვევა, რომ უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ბიუჯეტებში ჩამოიჭრა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით განსაზღვრული დაფინანსება. აღნიშნული თანხების ხარჯვის მონიტორინგის მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალა დაფინანსება გაიცეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის წესით. გარდა ამისა, მივიღეთ წერილი ბ-ნ ლაშა საღინაძისაგან, რომ წელს ბიუჯეტის სხვა მუხლებით განსაზღვრული თანხები ჩვეულებრივად მოგვეცემა, მაგრამ ჯერ გაურკვეველია რა რაოდენობით - ჩვენ მიერ მოთხოვნილი, თუ შემცირებული სახით.

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით ხდება იმ ნივთების შესყიდვა, რომლის ფასი 500 ლარს სცილდება, მაგ., პრინტერი, კარტრიჯი და ა. შ. ჩემთვის მიუღებელია პრინციპი, რომ მოხდეს უკვე დამტკიცებული მრავალწლიანი პროექტის ბიუჯეტის გადასინჯვა; რომ დაფინანსების მოსაპოვებლად ვიმოქმედოთ საგრანტო პრინციპით, რისკენაც მიდიან განათლების და მეცნიერების მესვეურები. გაუგებარია მიზეზი, რომ ამ მუხლზე თითქოს არ არსებობს მონიტორინგის საშუალება. ჩვენ არ ვაწარმოებთ არანაირ ფინანსურ ოპერაციებს. ამ ოპერაციებს აწარმოებს თსუ-ს საფინანსო და იურიდიული დეპარტამენტები. ფინანსური ოპერაციის შემოწმება ძალიან მარტივად შეიძლება შიდა თუ სამინისტროს მიერ გამოგზავნილი აუდიტის საშუალებით.

სამინისტროს ამ ინიციატივამ განსაკუთრებით დააზარალა საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების ინსტიტუტები. მათი ინიციატივით, ორჯერ მოხდა თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დირექტორთა შეკრება; გადაწყდა, შეიქმნას საპროტესტო წერილი ყველა ინსტიტუტიდან და ეთხოვოს უნივერსიტეტის რექტორს, რომ აკადემიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილოს სამინისტროდან შემოსული წერილი და მოითხოვოს სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრა ყველა ამ ინსტიტუტის წარმომადგენლებთან.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ 20 ივნისს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაგეგმილია სამინისტროს წარმომადგენლების ონლაინ შეხვედრა კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებთან.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ვაჟა კიკნაძემ, ქეთევან ხუციშვილმა, ნინო მინდაძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ელდარ ბუბულაშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ და სხვებმა.

გამოითქვა მოსაზრებები, რომ სამინისტროს ინიციატივა ინსტიტუტების უფლებებში ჩარევაა; საჭიროა ინსტიტუტების დირექტორთა კოორდინირებული მოქმედება; უნდა ვიფიქროთ დარგის გადარჩენაზე, ქართველოლოგიური მეცნიერებების განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის განვითარება; სასურველია, ჩვენი მოსაზრებები გავუზიაროთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს; უნდა მივმართოთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მეცნიერებასა და საგანმანათლებლო სისტემას იცავენ; სავსებით მისაღებია ბ-ნ გიორგი ჭეიშვილის მიერ წარმოდგენილი წერილი.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ვუყაროთ კენჭი, მიეცეს შემდგომი მსვლელობა ბატონ გიორგი ჭეიშვილის მიერ წარმოდგენილ წერილს, რომელსაც თქვენ გაეცანით და რომლის შესახებაც ვიმსჯელეთ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე – 12 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ბ-ნ გიორგი ჭეიშვილის მიერ წარმოდგენილ წერილს (დანართი 1) მიეცეს მსვლელობა.

მოისმინეს:

2. მიმდინარე წელს დაგეგმილი სამეცნიერო კონფერენციები.

ლავრენტი ჯანიაშვილი: მიმდინარე წელს დაგეგმილია რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება. პირველი, ბატონი ვალერიან ვაშაკიძის ხელმძღვანელობით ჩასატარებელი საერთაშორისო კონფერენცია - *„კავკასიის კარი - საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე“*, მეორე - ქალბატონ ჯულიეტა რუხაძის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, მესამე კი - შემოდგომაზე ქალბატონ მარიამ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდება გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. დაგეგმილი გვაქვს ასევე, ეთნოლოგების მეორე დისკუსია, *„საუბრები ეთნოლოგიაზე“*, რომელშიც შევეცდებით მთელი საქართველოს მასშტაბით ბევრი მეცნიერი ჩავრთოთ დავუკავშირდებით უცხოელ მეცნიერებსაც. ორგანიზატორებს გთხოვთ მოგვახსენოთ, როგორ მიდის მზადება კონფერენციების ჩასატარებლად.

ვალერიან ვაშაკიძე: 25–27 ივნისს ჩატარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *„კავკასიის კარი – საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე“,* რომელიც შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტით ფინანსდება. საკმაოდ ბევრი უცხოელი კოლეგა გამოგვეხმაურა, მონაწილეთა თითქმის ნახევარზე მეტი უცხოელი მეცნიერია. მოხსენებათა ქართული ტექსტები რედაქტირებულია, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, დაიბეჭდება კონფერენციის მასალების ორენოვანი (ქართულად და ინგლისურად) კრებული. საკმაოდ სოლიდური, რომელიც ნათელ წარმოდგენას შეუქმნის დაინტერესებულ მკითხველს, რა იყო კავკასიის კარი და რა მნიშვნელობა ჰქონდა მას. პანდემიის გამო, გადავწყვიტეთ რომ შერეული ფორმატით ჩავატაროთ ეს კონფერენცია. უცხოელები დისტანციურად ჩაგვერთვებიან. თქვენგან ველი აქტიურ მხარდაჭერას, დასწრებას და მონაწილეობის მიღებას.

ქეთევან ხუციშვილი: 9–10 ივლისს დაგეგმილია ქალბატონ ჯულიეტა რუხაძის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება უწევს ორგანიზებას. დაწყებულია თეზისების მიღება. ჯერ კიდევ არის ვადა და გთხოვთ, ვინც დაინტერესებული ბრძანდებით წარმოადგინოთ განაცხადი.

მარიამ ჩხარტიშვილი: ინფორმაცია კონფერენციის ჩატარების შესახებ განთავსებულია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე. ნაწილი თეზისებისა უკვე მიღებულია. იმის მიხედვით, თუ რა ვითარება იქნება პანდემიის მხრივ, კონფერენცია შეიძლება ჩავატაროთ შერეული ფორმატით.

მოისმინეს:

3. მიმდინარე საკითხები.

ლავრენტი ჯანიაშვილი: მიუხედავად პანდემიისა ჩვენი სამეცნიერო საქმიანობა მოითხოვს აქტიურ მუშაობას. მაგალითად, შ. რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა არ ჩაუთვალა საპატიოდ ერთ–ერთი გრანტის მონაწილეებს იმ მივლინების ვერ შესრულება, რომელიც დაგეგმილი ჰქონდათ საქართველოს მასშტაბით. ამდენად, ჩვენც არავინ გვაპატიებს ჩვენი აქტივობების შესუსტებას. იმისათვის, რომ არ აღმოვჩნდეთ მოულოდნელად წლიური თემების ჩავარდნის საფრთხის წინაშე, ლოგიკური იქნება, განყოფილების გამგეებმა მოამზადონ ანგარიშები მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მუშაობის შესახებ, რათა ვიცოდეთ რა მდგომარეობა გვაქვს ამ მიმართულებით.

გიორგი ჭეიშვილი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ერთ–ერთი პროექტის მონაწილეებს დაგეგმილი ჰქონდათ მივლინება სვანეთში და კუნძულ კვიპროსზე. ვინაიდან პანდემიის გამო იყო შეზღუდვები, კვიპროსზე მივლინების ჩავარდნა ჩათვალეს საპატიოდ, ხოლო, რადგან საქალაქთაშორისო ტრანსპორტი არ ყოფილა შეჩერებული და არც შიდა გადაადგილებები იყო შეზღუდული, გაუქმებული მივლინება სვანეთში ჩაეთვალათ

ხარვეზად. თუ ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ექსპედიციები, პანდემიის მიზეზით მათი შეუსრულებლობა საპატიოდ შესაძლოა, არ ჩაგვითვალონ.

ლავრენტი ჯანიაშვილი: რამდენად აქვს ჩვენ ინსტიტუტს იმის საშუალება, რომ წელს ექსპედიციების მოწყობა დააფინანსოს?

გიორგი ჭეიშვილი: ახლო მომავალში გვეცოდინება. გარდა ამისა, კომუნალური ხარჯებიდან გვაქვს მნიშვნელოვანი დანაზოგი, რომელსაც გამოვიყენებთ ექსპედიციების მოსაწყობად.

ლავრენტი ჯანიაშვილი: სამეცნიერო საბჭოს ერთ–ერთ სხდომაზე მიღებული იყო დადგენილება, რომ თანამშრომელთა წლიური თემები დაბეჭდილიყო. კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების კრებულის მორიგ ნომერში, სხვა თემატიკის მასალებთან ერთად, სტატიების სახით დაიბეჭდება განყოფილების თანამშრომელთა წლიური თემები. ვფიქრობ, ასე გაკეთდება სხვა განყოფილებებშიც.

ვალერიან ვაშაკიძე: რადგან გამოცემებზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა გთხოვოთ, თქვენი და თქვენი განყოფილებების წევრთა სტატიები დროულად მიაწოდოთ ბატონ ალექსანდრე თვარაძეს, რომ წლის ბოლომდე გამოიცეს საინსტიტუტო ჟურნალ „ქრონოსის“ მეორე ნომერი.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ჩვენ შევძელით და აღვადგინეთ სემინარი „საინსტიტუტო საუბრები.“ მომდევნო პარასკევს, ბატონ ალექსანდრე თვარაძეს მოვუსმენთ. მას ძალიან საინტერესო მოხსენება ექნება. განყოფილების გამგეებს ვთხოვ, რომ თავიანთ თანამშრომლებს შეატყობინონ ინფორმაცია სემინარის ჩატარების შესახებ.

გიორგი ჭეიშვილი: ინფორმაციის სახით მინდა მოგაწოდოთ, რომ ჩვენ დაგვიკავშირდა ერთ–ერთი გასტრონომიული ასოციაცია, რომელიც დაინტერესებულია ხალხური კვების კულტურით. იყო თხოვნა, თუ იქნებოდა კვლევები, ჩვენი ეთნოლოგები ჩართულიყვნენ მასში. რამდენიმე ეთნოლოგმა გამოთქვა ინტერესი და სურვილი, მადლობა მინდა მოვახსენო მათ. შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც ქალბატონი ნინო მინდაძე უხელმძღვანელებს. ეს ერთ–ერთი საინტერესო ნიმუში იქნება ბიზნესისა და მეცნიერების თანამშრომლობის. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს თანამშრომლობა წარმატებული იქნება.

სხდომამ დაადგინა:

ბ-ნ გიორგი ჭეიშვილის მიერ წარმოდგენილ წერილს (დანართი 1) მიეცეს მსვლელობა.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

სხდომის მდივანი: **მარიამ ჩხარტიშვილი**

14. 05. 2021

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 2020 წლიდან მუშავდება ხუთწლიანი პროექტი „საქართველოს საზღვრები“. საქართველოს საზღვრების, მასთან დაკავშირებული წარსულისა და თანამედროვეობის პრობლემატიკის კვლევა დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სამეცნიერო გამოკვლევები დასაბუთებული პასუხია გარედან წამოსულ „რბილ ძალაზე“ და ქვეყნის უსაფრთხოებას ემსახურება.

პროექტის ორგანული ნაწილია ბიუჯეტი - ის მინიმალური საბაზო დაფინანსება, რომელიც სახელმწიფომ ინსტიტუციას უნდა გამოუყოს დაგეგმილი/დამტკიცებული კვლევების ძირითადი ამოცანების განსახორციელებლად. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ინსტიტუციური (საბაზო) დაფინანსება უაღრესად მწირია და ინსტიტუტი დამატებითი დაფინანსების/ინვენტარის მოძიებას სახელმწიფო თუ კერძო იურიდიული პირებისაგან ცდილობს.

„სახელმწიფო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი დაფინანსების ეტაპობრივი, თუ ერთიანი რევიზია საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ მიმდინარე პროექტის შესრულებას, არამედ ინსტიტუტის ფუნქციონირებას.

ამ ეტაპზე ინსტიტუტის მუშაობა, მართალია, ნაკლებად არის დამოკიდებული არაფინანსურ აქტივებზე; თუმცა მას ესაჭიროება ისეთი ელემენტარული საქონელი, როგორიცაა კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ავეჯი (საკონფერენციო მაგიდა, კარადა), რომელთა საცალო ღირებულება, ლარის კურსის კატასტროფული ვარდნის გამო, სცილდება 500 ლარს. განსაკუთრებით აქტუალურია ახლადმოწყობილი ანთროპოლოგიური სივრცის სპეციალური შეკვეთით დამზადებული ინვენტარით (მაგალითად, მაგიდა რკინის კარკასით და წყალგამძლე ზედაპირით) აღჭურვა ანთროპოლოგიური მასალის დასამუშავებლად. აღნიშნულ უჯრედში მოეწყობა სასწავლო სივრცე (რაც, ასევე, მოითხოვს სპეციალურ ავეჯს), ხოლო უახლოეს მომავალში - ანთროპოლოგიური მუზეუმი, რომელსაც, ასევე, დასჭირდება ძვირადღირებული ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა.

ჩამოთვლილი ინვენტარის საჭიროება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფუნქციონირებისთვის იმდენად ცხადია, რომ მისი შეძენა-არშეძენის საკითხის გადაჭრის მინდობა არა ინსტიტუტისთვის, არამედ საგრანტო საკონკურსო კომისიისთვის, ვფიქრობთ, სრულიად გაუმართლებელია.

ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, თითქოს სახელმწიფო საბაზო დაფინანსებიდან არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ჩამოჭრა გამოწვეულია „ზემოაღნიშნული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის ფარგლებში დაწესებულებებისათვის გამოსაყოფი დაფინანსების ოდენობის, მიზნობრიობისა და მის ხარჯვაზე მონიტორინგის მექანიზმების“ არარსებობით - ყველა ფინანსური ოპერაცია ხორციელდება ცენტრალიზებულად, თსუ-ს სპეციალური დეპარტამენტების მიერ; ფინანსური ოპერაციები სრულიად გამჭირვალეა და მათი მართლზომიერების შემოწმება მარტივად არის შესაძლებელი აუდიტის საშუალებით. გაურკვეველია, აგრეთვე, რატომ იწვევს სამინისტროს დაეჭვებას თსუ-ს საფინანსო ოპერაციები მაინცდამაინც დამოუკიდებელი

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ნაწილში, როდესაც სხვა ნაწილში ასეთი ეჭვები არ გააჩნია.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ დამოუკიდებელი საექსპერტო კვლევების თანახმად, „საკონკურსო დაფინანსების ინსტიტუციურ დაფინანსებასთან დადგენილი თანაფარდობა 50/50 არ არის საქართველოსთვის მისაღები“. სამინისტრო აღნიშნული ინიციატივით დგამს კიდევ ერთ ნაბიჯს თანაფარდობის შესაცვლელად და ზრდის საგრანტო დაფინანსებას საბაზო (ინსტიტუციური) დაფინანსების შემცირების ხარჯზე. ასეთი პოლიტიკა ეწინააღმდეგება ევროატლანტიკურ პრაქტიკას. ის გაუმართლებელია ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, სადაც არ არსებობს არც ეკონომიკური და არც საკანონმდებლო საფუძველი დაფინანსების საგრანტო სისტემის წახალისებისათვის.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაითვალისწინებს ჩვენ გულისტკივილს, უარს იტყვის ინსტიტუტის საბაზო დაფინანსების შემცირებაზე და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად, ძალისხმევას მეცნიერების განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებისკენ მიმართავს.

პატივისცემით,

ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ჭეიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 4 21 0000387909

22/04/2021

სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის N1245475 ბრძანებით დამტკიცდა „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამა, რომლის საფუძველზე განისაზღვრა სსიპ - უნივერსიტეტების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისათვის 2021 წელს გამოსაყოფი დაფინანსების ნაწილი. ამასთანავე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი უნივერსიტეტების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მიერ 2021 წლისათვის მოთხოვნილი დაფინანსების დარჩენილი ნაწილის, განსაკუთრებით კი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის - „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ფარგლებში თანხების გამოყოფასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით შეიქმნა კომისია. მაგრამ, ზემოაღნიშნული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის ფარგლებში დაწესებულებებისათვის გამოსაყოფი დაფინანსების ოდენობის, მიზნობრიობისა და მის ხარჯვაზე მონიტორინგის მექანიზმების არ არსებობის პირობებში, საბიუჯეტო სახსრების ობიექტურად, გამჭვირვალედ და სამართლიანად, ასევე, ამ თანხების ხარჯვის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნული დაფინანსება გაიცეს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდეგში - „ფონდი“) მიერ სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის წესით.

როგორც ცნობილია ფონდს აქვს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება სამეცნიერო-კვლევითი თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სამეცნიერო-კვლევითი აღჭურვილობის (სამეცნიერო-კვლევით ერთეულების მიერ კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი აპარატურის, ხელსაწყო-დანადგარების, ნედლეულის და/ან მასალების, მათ შორის კომპიუტერული პროგრამების და/ან მონაცემთა ბაზების,

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 200 220

ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტებისა და კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო სხვა რესურსები) შესყიდვისათვის საჭირო ასიგნებების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსების გზით გაცემასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ფონდს ამ მიმართულებით რაიმე სახის ღონისძიება არ დაუგეგმავს. შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა (შემდეგში - „სამინისტრო“) და ფონდის მიერ დაიგეგმა და დაწყებულ იქნა შესაბამისი პროცედურების განხორციელება სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო და სსიპ - სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და კვლევითი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სათანადო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის უახლოეს პერიოდში ჩასატარებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის თანასწორად, მაქსიმალური გამჭვირვალობისა და ობიექტურობის დაცვით გადანაწილებას, ასევე გამოყოფილი დაფინანსების ხარჯვის ეფექტურ მონიტორინგს.

ზემოაღნიშნული კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება დამატებით.

პატივისცემით,

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების
განვითარების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
წერეთელი ნინო